



კომე და ამისათვის შეგვიძლია თამამად განვიმედოვნოთ და ვსთქვათ, რომ პოლკ. ფრ. წულუკიძემ გამოვლინა სწავლი- გან ბათობი თურქებს.

შემდეგ ბ. ნაკაშიძე ბრძანებს, რომ ავტორი მტრად უდი- ერად მოიხსენიეს მთავარ-სარდალს. მაგრამ სად არის ნახსენები უდიერად მთავარ-სარდალი იმ წერილში, რომე- ლსაც ავრე დავიანგეულად რადიანობად გაუგებლიცაა ბ. ნაკაშიძე, ან სადმე თვით. გიორგი. უფროდღეს? ჩვენ გვაქვს ნათქვამი: მთავარ-სარდალი გამლფიდა გაქცეულ მთავრებს და მასთან ერთად თავი შეგდო რა უცნობი მიწაველ გემს. სხვა არსად არაფერი თქმულა და სად მთელიანა ბ. ნაკაში- ძის „უდიერობა“ თუ ეს ახვ არ მთავრად და „წინააღმდეგე- ბა ისტორიულ სიმართლეს“? და მთავარ-სარდალიც, თუ ვინმემ ასხგნა, მხოლოდ ჩვენ ვახსენებთ დირხეულად. ჯერ კიდევ 1929 წელს მომხდარ თვით. გიორგი. ყრილობის დქმში (N 15 თვით. გიორგი.) ამკარად და წმა მაკლა მღვთისწვეთ ისეთი საერთო დრინტის დაბრუნება (ნაცვლად ჩვეულებრი- ვი ძველი და ახალი ყალვი (ფორტისა), სადაც უნდა შესუ- ლიყ საქართველოდ მთავარ-სარდალი და დვიერობა. ეს მამონ. რედგს-ბ. ნაკაშიძის თანამაზრენი გრძანებდნენ იმ „ფორტში“, იმ წრეებში, რომელნიც სწორედ „უდიერად“ მოქმედნ მთავარ-სარდალს და დამსახურება სამშობლს წინაშე მით დაუფახეს. რომ ქარხანაში იყო იმულებული გმუ- მაგნა და თ-თონ-გი-ჯამაგირებს ირიგებდნენ და პარტიულ პრეპარანდისტებსაც ვი არ სტრეგებდნენ უკამაგირად. „ბრძო- ლის წმის“ წინააღმდეგ სწორედ ჩვენა ვსთქვით ჩვენი სიტ- ყვა და ყოველთვის ვიტყვი, და საზოგადოდ „გრძობლის წმის“ მკვრივანტულებში სხვა წრეგაში, მის ყოფილ ლიდერ- თა და ამხანაგთა შორის ეძველს ბ-მა ნაკაშიძემ და ბევრსა ჰქვამს. თვით. გიორგი. ყრილობის ვი ასეთები ვეროდეს ჰქვამს.

ჩვენ შევეხეთ დიდს საკ-თს (N 26 თვით. გიორგი.) საქარ- თველც და მხრბისა. გვინდა რომ ყოველი ქართველისათ- ვის ს-იტრეგა-და ნაწილიად იცოდეს, თუ რა იყო მიწეზე- გი საქართველის უსაქალით და სწრეგისა. ათი წელიწა- დია მას აქვთ და ერთ სიტყვაც არ გავიგონია არავისაგან ამის შესახებ, მაშინ რედგს-ბ. ნაკაშიძის მიერ წარმოდგენილ ბრძოლებს ისტორია ტომებით არის დაწვრილი. ყოველი მთა ვრდბა, სამხედრო სამინისტრო და დენერალური შტაბი წლებს ანდებდნენ ღმის მხადებას. გეგმების შედგენას და სხვ. დე- ნერალური შტაბი არის მთავარი დაწესებულება ღმის დროს. მთელი მასხრისებრა ედგება შტაბი უფრდს. და ჩვენი მთა- ვარ სარდალიც აქ ნათამდის მართალია. — საქართველოში არ- სებდებოთ თუ არა ნამდვილად დენერალური შტაბი? ჰქვამდა თუ არა მას რაიმე გეგმა თავდაცვისა? და თუ არ იყო მიდგ- ბული წომეში საჭირო დი აუცილებელი, ვისი გრალია? ვინ არის დამნაშავე? აი საკი ზემი, რემელიც განსილებ და ახ- სნილ უნდა იყოს ქართული საზოგადოებისათვის, და თუ დანაშაულები შტაბის უფრდისა გამომკარავდებო, მას ეს სახელწოდება მდებსნას ყოველად მიუღებელია დამ- ნაშვის ფარგაში ამ ხარისხით. თუ მისი და სხვების, იქნებ მისი თანამშრომლების, გახართლებს ხამუალებსა მდგომ- ბულნი ვართ აქ უცხოეთში, შტაბის უფრდის სახელწოდ- ბებით მისი ცარტეგება ნამდვილი მონაწილეობა მის დანა- შაულებში და მითრეგეგელი ცოდება მისი სწლის დაფარე- ბა. ბ. ნაკაშიძის მტრ-დ უბრალდ განმარტება, ღმი მიტრეგ წა- ვაგვით, რომ არ ვიყავით მომხადებელი, :რ დაავაყოფი- ლებს არავის. საჭიროა ვიცოდეთ სწორედ, თუ რატომ არ ვიყავით მომხ- დებელი? სამ წელიწადში თუ ბევრს ვერა- ფერს მივასწავდით ხალხარი მხადებისა და მომარაგების მხრით, მინიმუმი მაინც იყო თუ არა გაკეთებული, და თუ არა, რატომ? აი რა გვინდა ვიცოდეთ, და უნდა იცოდეს ყვე- ლამ, რათგან ქართველების გარდა უცხოელებმა ყველამ შეე- ნივრად იციან—იმ უცხოელებმა, რომელნიც დაინტრესე- ბულნი იყვნენ იმით, თუ რა სდებოდა და რა მდნდა სა- ქართველოში და ყველაფერი თავიანთ სათანადოდ დ-წესებუ- ლებას ამენეს. ბ. ნაკაშიძის ტყუილად მიაჩნია საქართველის საიდუმლოებად ის, რაც მდნდა. ჩვენ ამას ვწოდებდით არა საიდუმლოებას, არამედ სისხლ-ს სამართლის ხამელმწიფდ საქმეს.

დასასრულ უნდა მოვასხენო ბ. ნაკაშიძეს, რომელიც ჩვენს კეთილ დვილებს გსება და საქველდ მიაჩნია იგი, რომ კეთილმობილება სწორედ ისაა, რომ ადამიანის კეთილმოდ- ვილება სელი ადვილად არ უნდა წამოტკვრა.

მეგობარი.

ახალწელიწადის ვულფავ ვრთობლივ ემიგრაციას, დემეტრის ექნას გამოდგომდეც ქვეყანასა და ნაციას. მაგრამ კვტეში შევარტყვი შესუსტებია ვნაცა, წელშიაც ცოტა წაზრლია აღარ აქვს ძველი გრანია.

ჯერ დიდი ნდვ ვახსენოთ. იმისი თვთრი წვერები, ყველაფერს დაუფარავად ვერტყვი, არ მღვეფერები: ბევრი შეგმოდ სიკეთე, გამოეჩინა კაცოვა, მაგრამ ვერ მო იგილივ ბელშევიტ-მენშევიტავა. ირმეცი წელი იმახე არ მრწამს ქართველი ერთი, მე რუსეთს ვენაგვალგები, ის არის ჩვენი მსხნელიც.

ახლა სხვა ჰანგზედ გადახვალს ხედილობ, არ გამოვიდის, გაჭივ სულ ვანზედ გაიხრტა ზოგიც იმისკენ მიდის. პარტიის იყავ ბელადი, ახლა გყავს მხოლოდ ფრაქცია, გასუნდა მარქსის ქითაბი ცხოვრებამ მჩვარად აქცია. პიი-პუუ... პიი-პუუ...

ახლა აკაკის ვულფავ ვულურგებ დღევრმდლობსა, თანაც მეტს ყურადგებასა, უფრდ მკვეთრ მხედველობსა, — ქვედა სართულში არ მოხდეს ზოგი რამ შეუფერია... თავადებს სმირ-სმირ აცნდგენ, თითქმის გომინჯი, კვერია. ხან-და ხან თურმე, ამბობენ, ძალზედაც დადგებიან, და მერე სამჯავრებში ცრუმწმად გამდინან. პიი-პუუ... პიი-პუუ...

კოწიხასაც მივღავ ავავ ამ დიდ დდგხასაულებსა, ცალიერ გახას რომ უზის და უცდის სასწაულებსა. ფული თურმე სხვაგანა ხდგეს, — ახვ დიდის ჩვენში ჰვრი, მაგრამ ხალსს მაინც იზიდავს ვითა ყდრნებს ცხენის მძერი. პიი-პუუ... პიი-პუუ...

ახლა ეგვერის ვულფავთ, ირი სიტყვა მოვასხენოთ, ცოტა რამე ძველ ამგებში მოვავრთოთ, გავახსენოთ. გაქრა ის ტკბილი დრდება— მაჯესტიკი და კლარიჯი, ლამაზ-ლამაზი ქალგეი, შამპანიური და ბრიჯი. თუმცა არ იტეს ისტიგარს და ფართი-ფურთობს ტყვილად, ყოველი მხრიდან უტგვენ „მოდორტომი“ სწ: ვს თბილად. პიი-პუუ... პუუ...

ერთს კაცს ვიდეგ მივულოცავ. იტიმება სულ ძალზე, გვარზედ უკაცრავად ვარ, ბრძანებულა გვარჯალადე წვერ-ულვაში გაუპარხავს ინგლისელებს ოკრიბულად თავმენახულიც არის. ვერ იყიდი თურმე ფულად. პიი-პუუ... პუუ...

ახლად ვარსკვლავი გამოჩნდა სახელად ჰქვია ბიქტორა, არ ვიცი, რა უხას დაადგა, რა სწამს, ყურანი თუ თორა? ბერლიში წითლად მოხჩანდა, წვერს იღებავდა ინითა, პარისში მდრით დარწყდ თეთრი ვიღრვის ჰომნითა. ახლა-კი გამოწყობილა ძველებურ ქულავაში! სწერია: ლუკმა გავარდეს, ჩავარდეს იხვე ჯამში. პიი-პუუ... პუუ...

სხვა ჰანგზედ ავსუზენდები, და მივადგები სხვა ესეც, ახალწელიწადის ვულფავ დათას, შალვასა და რეზოს. რეზოს თავი დავანებოთ ვაი თუ გავიჯავრდეთ, მისებურად შეურეგოს და უბნად ყალყზედ დადგებო. შალვას და დათას მი-ქსიდა პოლონეთიდან პანე ური, საერთოდ ორენტი შეცვქცენ მტრად მოსწყურდათ ვაზური. მაგრამ ვაზურის შავიერ დაურჩათ „ორდინერიც“, მენშევიტს დაუძმობილდენ, არ უნდათ ჰყავდესო მტერიც. ალექსანდრემ გაპბრეყა შეიყვანა ნოეს ფრონტში ახლა, როგორც ოცდაათ მარტს, უდგებიან „გრიშკას“ ფრონტში. პიი-პუუ... პუუ...

აწი მოგილოცავ შენა, თმაქოროა ალექსანდრე, შენ იგი ხარ, რაც იყავი, სულ მუდამ დღე, უფრო აღრე. ჯერედ იყავ ბოლშევიკი, მერე ყმაი მარშალისა, მოყვარული დიდებისა, არც დამწუნე ნაშალისა. გუშინ წიგნი რომ დაბეჭდე, ყველას „სისონას“ ეძახდი, ახლა უკვე დაგავიწყდა და მათ კარზედ კოხტად დახტი. მაგრამ გნახავ ივანესა, კარზედ შამოჩივანესა! შენ ადვილად ვერას წაჭლეჯ გიორგის და ივანესა. პიი-პუუ პუუ...

მისალოცი ბევრი დავგრჩა კარგადა და ავადაო, მაგრამ გულა დიჩუტა, ნურას უკაცრავადო. პიი-პუუ... პიი-პუუ...

ყარახეთელი.

ქართველები სპარსეთში

საქართველოს წარსულის რამდენიმე საინტერესო პიროვნება.

მეფე გიორგი XI. ქაიხოსრო ანუ ხოსრო მეფე.

(განმელება)


მე მგონია მკითხველს დაახლოებითი სინამდვილით მაინც დავუხუროთ გიორგის და ხოსროს ზოგიერთი მხარეები: სახე- ლოვანი ბიძა-ძმის წული იყენენ ფრიად სწავლულნი და კულ- ტუროსანი; ქართულ-სპარსულ მუსიკა-პოეზიით, ხელოვნე- ბით გავაქიხებელი გემოვნებისა; ნიჭიერნი მხედარ-სარდალ-

ნი; მოწმუნე ქრისტიანნი და ამავე დროს რამდენადმე შეპ- ყრობილნი იმ ნაკლებითაც, რომელთ წარმოშობს ზოლმე აღ- მოსავლეთ-მუსულმანური ფუფუნება.

ერთი სიტყვით, ის სწეობრივი ორბოფობა, რომელიც ის- ტორიულმა ბედმა მაშინდელ საქართველოს ცხოვრებას დაამ- ჩნია, მათში უფრო ძლიერად იყო გამოხატული, ვიდრე მდა- ბიო წრეებში, ვინაითგან, რამდენადაც საზოგადოების მაღალ საფეხურზედ იდგა ადამიანი, და მაშასადამე სპარსეთთან უფ- რო მჭიდროდ და პირდაპირი კავშირი ჰქონდა, იმდენად უფრო მეტად განიცდიდა იგი ამ დუალიზმის გავლენას.

რაც შეეხება გიორგის და ხოსროს ინდივიდუალურ ხა- სიათს და თვისებათ, როგორც ზემოდაცა ვსთქვი, უმჯობესია მკითხველს თან და თანობით, თვით მათივე მოქმედების პრო- ცესშივე გააცნო იგინი.

ქართულ-სპარსულ ვითარების აღწერაზედ ამდენ ხანს იმი- ტომ შევჩერდი, რომ მკითხველისათვის ოდნავ მაინც ნათელ- მყო იმ დროინდელი ჩვენი და სპარსეთის ურთი-ერთობის ხა- სიათი, როგორც მასამ თხზულების დასაწყისში დავპირდი.



გ. სააკის ძმა ბეჟანი (1) სხვა და სხვა დროს იმყოფებოდა ისპაჰანის გუბერნატორად, ყულარ-აღად (2), რამდენჯერმე სპარსეთის მოქმედ არმიითა მთავარ სარდალად და ჰქონდა ხარისხი სპარსეთის ბეგლარ-ბეგისა.

შვით მისი როსტომ სპასალარი დიდ ხანს იყო მთავარ-სარდალად და ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა მას მთელ სპარსეთის იმპერიაში, რომ მის დაუყოვნებელ არც ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე არა კეთდებოდა. შვილს როსტომ სააკისას, სააკი-ხანს, სპარსეთის სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ჰქონდა.

თეიმურაზ სააკაძე იყო ნადირ შაჰის მიერ დანიშნული ინდოეთის იმპერიაში მეფის მოადგილე. შვილი თეიმურაზისა ზურაბ სააკაძე იმყოფებოდა ხან მთავარ ვეზირად, ხან სახელმწიფო ხაზინადარად, ხან მთავარ სარდალად, და საერთოდ ადელ-შაჰის ნამდვილი მარჯვენა ხელი იყო და სპარსეთის ტახტზედ იგი ზურაბმა განამტკიცა (3).

ცოლად ადელ-შაჰსა ჰყავდა თეიმურაზ სააკაძის ასული, ე. ი. დევილი და ზურაბისა. ამ ქალს ჰქონდა ბეგუმი-სხარისხი, ე. ი. იყო იგი სპარსეთის კანონიერი დედოფალი. ამ ქალს მართლაც რომ სააკაძის ნიჭი და ენერჯია ჰქონდა დაყოლილი და თანაც მომხიბლავი სილამაზისა იყო. სპარსეთის იმპერიას ფაქტიურად ეს ქალი განაგებდა და შაჰ-ადელი მხოლოდ დეკორაცია იყო. ამ მტკიცებების-ყოფის დედოფალმა სპარსეთის ყველა დიდი თანამდებობანი თითქმის განსაკუთრებით ქართველებს მისცა და ამ მხრით ისეთი ფავორიტიზმი შეჰქმნა რომ მთელი სპარსეთი ოხრავდა და მოსტკვამდა: სპარსეთი ჩვე, აღარ გვეკუთვნის, ქართველების ხელშიაო (4). ამ მდგომარეობამ რევოლუციაც კი გამოიწვია სპარსეთში, რომლის ჩაქრონ ბა სწორედ ზურაბ სააკაძეს და მის ქართველ რასებს მიჩნდეს. ზურაბის დის სიკვდილის შემდეგ ადელ-შაჰმა შვირთ თეიმურაზ II-ის ასული, ე. ი. დევილი და ვრეკლე II დიდისა.

თვით გიორგი სააკაძეს სპარსეთში უდიდესი ადგილები ეჭირა: იყო ყულარ-აღად, რამდენჯერმე მთავარ სარდალად მოქმედ არმიისა, სახელმწიფო მდივნად, მრჩეველად შაჰ-აბაზისა და სხვა. შემდეგ მეორე ბეჟან სააკაძესაც რამდენიმე დიდი სახელმწიფო თანამდებობა ჰქონდა.

თვით შაჰ-აბაზს დიდის დედა იყო ქართველი ქალი, ასული შალიკაშვილისა, ხოლო ცოლი მისი გიორგი X-ის ასული, ე. ი. დევილი და ლუარსაბ II-ისა, შვენიერი ლელა. ამნაირად შაჰ-აბაზი იყო ქვისლი თეიმურაზ I-ისა, რომელს ცოლად ჰყავდა მეორე და ლუარსაბისა ხორეშანი (5).

ერთი-შვილის-შვილი შაჰ-აბაზს დიდისა ჯან-ბანუ-ბეგუმი ცოლად ჰყავდა მეფე სვიმონ II-სა და მეორე შვილის-შვილი ანდუყაფარ აზილხანისა.

როსტომ მეფე ბატონიშვილობის დროს სპარსეთში უდიდეს როლს ასრულებდა და იყო ფაქტიური გამგე და ბატონი მთელ სპარსეთისა. როსტომმა აიყვანა ტახტზედ შაჰ-სეფი და თავის ხმლისა და ავტორიტეტის ძალით დიდებულები, ხანები და ჯარი დაუმორჩილა მას: მოდით და მოიყარეთ ყველა მთელი შაჰსეფის წინაშე, გასცა სპარსეთში სასტიკი ბრძანება და ურჩობა ვერავინ გაბედა, რათგან როსტომის ამ ბრძანების უკან ქართველთა გვარდია (ყულარი) მზად იყო მთელი იმის მობრძანება დაეტეხა თავს ურჩობა და გამდგართათვის (6).

შაჰ-აბაზის მემკვიდრეობაზედ დავის გარშემო ატეხილი შინაგანი ბრძოლა ენერჯიულმა და გამჭრიახმა როსტომმა სწორედ ამ ქართველთა გვარდიის ხელით დასაწყისშივე მოსპო და სპარსეთში მშვიდობიანობა აღადგინა.

როსტომს ეკუთვნოდა სპარსეთის ერთ უდიდეს პრავინციასაგანი ბუშთუქუ, რომელიც მას აუარებელ შემოსავალს აძლევდა; მისივე საკუთრებას შეადგენდა ქალაქი თავრიზი და დიდი მამულები ჰქონდა გილანში და მაზანდარანში. ამასთანავე იგი იყო გუბერნატორად ისპაჰანისა და ყულარ-აღად. ყოვე-

ლივე ეს ქონება და თანამდებობანი მან გამეფების დროსაც შეინარჩუნა და სპარსეთში თავის მამულებს და თანამდებობებს საქართველოთგან დანიშნულ ქართველ მოურავთა ხელით განაგებდა. მისი მთავარი მოურავები თავრიზის და ისპაჰანის მმართველობისათვის ე. გიორგიჯანიძე და სეფი სააკაძე იყვნენ. ამდებმა მამულებმა და თანამდებობებმა როსტომი ზღაპრულად გაამდიდრეს, რამაც საშუალება მისცა მას ძირისი გავლენიერებინა, ქარვასლა-სასტუმროები აეშენებინა, თბილისისა და მეტეხისათვის ახალი ვალაყანი შემოერტყა, აღედგინა სიონი, სვეტი-ცხოველი, ალავერდი, და თბილისში ისეთი სასახლე აეგო, რომელსაც ფრანგი მოგზაური შარდენი განცვიფრებამო მოიყვანა და რომლის მსგავსი მთელ აღმოსავლეთში ძვირად მოიპოვებოდა.

აგრეთვე დიდი ადგილები ეჭირათ როსტომის მამას დავითს და მის ძმას და ძმის წულს ბაგრატს და სვიმონს.

ისპაჰანის გუბერნატორად დიდხანს იმყოფებოდა ვინმე ქართველი პაატა, რომლის გვარი არა ჩანს.

ირაკლი I ხან პოლიციის მინისტრად იყო და ხან სხვა დიდი ადგილები ეჭირა. უფროსი შვილი ირაკლისა დავითი ერთი ხელობა იყო „დოროგა“-დ-პრეფექტად ისპაჰანისა, მეორე ყულარ-აღად და სხვ. მისი უნცროსი ძმა კონსტანტინე იყო ყულარ-აღად და მთელ სპარსეთზედ უდიდესი გავლენა ჰქონდა.

ვანტანგ VI იყო მთავარ სარდალი სპარსეთის არმიისა და თან ბეგლარ-ბეგი აზერბეიჯანისა (ჩრდილ. სპარსეთისა). ძმა მისი როსტომ ბატონიშვილი იყო ყულარ-აღად, ჰქონდა უდიდესი გავლენა მთელ სპარსეთში. გულნაბადას ბრძოლაში, სადაც სპარსეთის ბედი სწყდებოდა, იგი სარდლობდა ქართველთა გვარდიას, რომლით გვარდია მტრის (ავღანელთა) ჯარი და იქვე მოკვდა სახელოვანი სიკვდილით. როსტომის საქმეთა საგმიროთა აღტაცებით მოგვიტობრბენ პოლონელი კრუზინსკი, რომელიც ვანტანგ VI-ს და როსტომსაც პირადად იცნობდა და ინგლისელი ისტორიკოსები ჰანგე და მალკოლმი (1).

ლევანი, ძმა გიორგი XI-ისა, იყო ხან სპარსეთის უმაღლეს მოსამართლედ, ხან სარდალად მოქმედ არმიისა, ხან ქირმანის ნაიბად.

ალექსანდრე, იესე, სულეიმან და ლუარსაბ ბატონიშვილებსაც ფრიად დიდი სახელმწიფო ადგილები ეჭირათ სპარსეთში და დიდი სახელი და გავლენაცა ჰქონდათ.

აქ, უადგილობის გამო, ვერ მოვიხსენიებ ყველა იმ ბატონიშვილებს, რომლებიც სპარსეთში მაღალ თანამდებობებს აღასრულებდნენ. მე მგონია, მაშინდელი ქართულ-სპარსული ურთი-ერთობის სურათის ნათელ-ყოფად ვინც დავასახელებ, ისინიც საკმარისნი არიან.

ცნობილმა მოგზაურმა რომაელმა პატრიციელმა, უმწიკვლო და უშიშარმა რაინდმა Pietro bella Valle-მ დიდი ხანი დაჰყო სპარსეთში შაჰ-აბაზს დიდის დროს. იგი დაახლოებული იყო თვით შაჰ-აბაზსთან და მონაწილეობაც კი მიიღო მასთან რამდენიმე სამხედრო ექსპედიციაში. დელა ვალე კარგად იცნობდა და მეგობრობდა სპარსეთში მყოფ ქართველობას, მათ შორის გიორგი სააკაძეს, მის შვილებსა და აგრეთვე როსტომ მეფეს, როდესაც ეს უკანასკნელი ისპაჰანის გუბერნატორად იყო.

დელა ვალეს დროს შირაზში იმყოფებოდა ქეთევან წამებული, სპარსეთის შაჰის მიერ დაპატიმრებული. დედოფალს მიჩენილი ჰქონდა სასახლე, სადაც იგი ოცი ქართველი მსლებელით სცხოვრობდა და თან თავისი საკუთარი მოძღვარიცა ჰყავდა. დელა ვალეს ჩუმი ურთი-ერთობა ჰქონდა გაბმული დედოფალთან ამ უკანასკნელის მღვდლის და ერთი ახალგაზრდა ქალის საშუალებით. ამ ორი შიკრიკის პირით დელა ვალე ემუდარებოდა დედოფალს, რომ მას კეთილ-ენება და მიეღო მსხვერპლად სიცოცხლე დელა ვალესი, რომ იგი ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, თუ ღირსი ვახდებოდა დიდებულნი და სათაყვანებელი დედოფლისათვის სიკვდილი მიეღო, რომ ბედნიერი იქნებოდა იგი დედოფლის დასახსნელად თავი გაეწირა. დედოფალი მადლობას უთვლიდა, ხოლო მის მსხვერპლს არ იღებდა. ან რა შეეძლო ამ დიდ-სულოვან რომაელ რაინდს მისთვის უცხო და უცნობ ქვეყანაში? — ერთხელ დედოფალმა დელა ვალეს საჩუქრებიც კი გაუგზავნა.

ამნაირად დელა-ვალე დიდად ჩახედებული იყო სპარსეთში მყოფ ქართველთა საქმეებში და მის სიტყვას დიდი წონა აქვს მკვლევარისათვის. აი რას მოგვითხრობს იგი სხვათა შორის: „თავის ქალიშვილების ამოხრდვლებად შაჰს სასახლეში მხოლოდ ქართველი ქალები ჰყავს. საერთოდ სასახლე ქართველი მოსამსახურე ქალებით სავსეა. თვით შაჰები მხოლოდ ქართველ ქალებს ირთავენ ხოლმე ცოლებად და ამნაირად სპარსეთის დედოფლებად უფრო ხშირად ქართველი ქალები არიან ხოლმე. და მართალიც არიან ამ მხრით შაჰები, რომ ქართველ ქალებს ირთავენ ცოლად, რათგან ქართველ ქალებს კარგი ხასიათი აქვთ, არიან ზრდილინი და კეთილად წრთვნილინი; ამასთანავე მთელ აზიაში უშვენიერესნი ქმნილებანი არიან

იგინი. სპარსელ შაიგვრემან ქალებს ისეთი არა აქვთ როს, რომ ქართველ ქალთა შვენიერებას შეედაროს (1)“

სპარსეთის ჯარის საუკეთესო ნაწილს ქართველთა გვარდია შეადგენდა, რომელს ყულარ-აღად და სხვა ქართველები და რომლის სარდალი-ყულარ-აღად უსათუოდ ქართველი უნდა ყოფილიყო.

აი რასა სწერს ამის შესახებ დელა-ვალე: „მოსალოდნელია სპარსეთში მალე დიდი არეულობა მოხდეს, რათგან დღეს სპარსეთის არმიის მთელი ძალა ქართველი ჯარის კაცებია, რომლებიც მის საუკეთესო და უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ. ამ ქართველთა მხედრებმა იციან, თუ როგორ დასცეს და აიკლეს სპარსელები. მათი ჩვეყანა და თუშცა ამ ქართველთა შორის ბევრი გამუხულმანებულია, მაგრამ ეს მუსულმანობა მხოლოდ გარეგნულია და მოსაჩვენებლად მიღებული, და ღმერთმა უწყის, რა ხდება მათი გულის სიღრმეში. მე კი ვიცი, რომ მათ სავსებით და წმინდად აქვთ შენახული ქრისტეს სარწმუნოება. ამ ჯარების სარდალთ, რომელნიც აგრეთვე ქართველები არიან, უმაღლესი ადგილები უჭირავსთ და დიდი გავლენაცა აქვთ. ეს შეიარაღებული და გავლენიანი ქართველობა ერთ დღეს დიდ რევოლუციას მოახდენს და მთელ სპარსეთს დააყირავებს (2)“.

თუ რატომ არ მოახდინეს ქართველებმა მოსალოდნელი ამბოხება, ეს საკითხი ამ თხუთმეულის საგანს არ შეადგენს და მას სხვა დროს ოდენმე განვიხილავ.

დელა-ვალეს შემდეგ სპარსეთში მოგზაურა ფრანგმა მწერალმა შარდენმა. ისიც საყვებით ადასტურებს დელა-ვალეს სიტყვებს და ამბობს: „სპარსთა არმიის საუკეთესო ნაწილს ქართველი ჯარი შეადგენს“, და ვრცლად აგვიწერს ქართველთა სომიერება. ამასვე ამბობენ ინგლისელები მალკოლმი (3) და ჰანგე, ურანგი გამბა, გერმანელა კლაპროტი, კრუზინსკი, ვანტანტი, როსტომი, სპარსელი ისტორიკოსები და სხვანი.

მე მინდა აქვე ვუამბო მკითხველს ერთი თუმცა უბრალო, მაგრამ ქართველი მეომრის ფსიქოლოგიის დამახასიათებელი ეპიზოდი. ამ ეპიზოდის მოწამე პირადად დელა-ვალე ყოფილა და მას თავის ცნობილ თხუთმეულებაში მოჰყავს იგი, როგორც ისეთი ამბავი, რომლის მსგავსი მას მთელი თავისი მოგზაურობის დროს არც გაუგონია და არც უნახავს.

სპარსელებს ერთი ქართველი ტყვე თურქ ტყვეებთან და უმწყვედვითა და შაჰ-აბაზს მათი სიკვდილით დასჯა უბრძანებია. დასჯის წინა დღეს ქართველ ტყვეს შაჰისათვის შემდეგი არზა მიუთრთმევია: „დიდებულო შაჰო, მე ბრძოლაში ხუთი მეომარი მოვიკალი; ჩემი ცხენი რომ სასიკვდილოდ არ დაჭრილიყო, რითაც მტრმა დამიჩინა, კიდევ ხუთ მეომარსაც სიცოცხლეს გამოვასალმებდი. ახლა შენ ხელში ვარ და ჩემი სიკვდილი გიბრძანებია. ერთი საწყალი ღარიბი მეომარი ვარ, სიკვდილის შემდეგ არც მე რაიმე მრჩება უკან და ვერც შენ გამოდრდები და არც რაიმე მამულები დაგრჩება ჩემი სიკვდილის შემდეგ. სიცოცხლეს არა გთხოვ, — გეუბნები სიკვდილისა მემშინია მეთქი. მხოლოდ ერთსა გთხოვ: ხვალ მე ცალკე სადმე გამოიყვანონ და იქ მომკვეთონ თავი და არა თურქებთან ერთად, რათგან ეს ძალები სპარსელებზედ მეტადა მძულან და მტრად მიმაჩნია და არ მინდა მათთან ერთად მოვიკლა“.

შაჰ-აბაზმაო, მოგვითხრობს დელა-ვალე, მაშინვე მონდომა ამ ტყვის ნახვა და სწორედ გამოიკვირდა, რომ ტყვეთა საპყრობილეში უიარალოდ და უმცველმოდ შვიდა, მართოდ მართოდ. არ ვიცი, რა უთხრა ახირებულ ქართველ ტყვესა და ან მან რა უპასუხაო, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ შაჰმა არამც თუ არ მოაკლევინა იგი, არამედ სულ განათავისუფლა და მშვიდობით გაისტუმრაო. დელა-ვალე დასძენს, რომ ეს არზა ისეთი გაბედული და დიდსულოვანი იყო, რომ არ შემოძლია ჩემ თხუთმეულებაში არ აღვნიშნო იგიო (4).

ეს თავი მინდა დავასრულო პასუხით იმ ორ კითხვასზედ, რომელიც მკითხველის თავში ბუნებრივად წამოიჭრება: 1) როგორ მოხდა, რომ სპარსეთი თავისი ბრწყინვალე კულტურა-ცივილიზაციით ისე მსეცურად და დაუნდობლად იკლებდა ჩვენ ქვეყანას? 2) როგორ ახერხებდა ხოლმე სპარსეთი იმნაირ გმირთა და ვაჟაკთა დამარცხებას, როგორნიც მაშინდელი ქართველი იყვნენ?

პირველ საკითხზედ ვასუხი შედეგია. ცივილიზაცია უსათუოდ ღმობიერებას და მშვიდობიანობის მოყვარებას არა გულისხმობს. პირიქით: ცივილიზაციის რაც უფრო მაღალ სა-

1) მოიკლა გმირულად ბ.ე.დ.ს. აღების დროს.
 2) ყულარ აღად: გვარდიის სარდალი.
 3) მეტად საინტერესოა არიან ზურაბ სააკაძის ბრძოლანი და საქმენი სპარსეთში, რომელთა შემდეგ ოდესმე ავსსწერ. ზურაბი ადელ-შაჰის ძმამ იბრაჰიმმა ღალატით მოაკლევინა, რამაც ძმათა შორის მტრობა ჩამოავდო და შინაგანი დიდი ბრძოლა გამოიწვია სპარსეთში. იხ. ამის შესახებ Picault t. II
 4) იხ. Picault t. II
 5) პირველი ცოლი თეიმურაზ I-ისა იყო ანნა, მათია გურიელის ასული.
 6) ამის შესახებ იხ.: ისკანდერ მუნჯი; ქრონიკები გვ. 497-8. დღიური როსტომისა: Hist. Mob. t. I. გვ. 490. გორგიჯანიძის ქრონიკა: Hist. Mob. t. I გვ. 509-10-11. ვახუშტი: ისტორია ქართლისა გვ. 65. უცნობი ავტორისა: „ცხოვრებაი საქართველოსა“ გვ. 77-79.

1) იხ. Malcolm t. I. გვ. 445.

1) იხ. P. Della Valle t. II. გვ. 16.—რასაკვირველია დღევანდელმა ქართველმა ქალებმა საუბედუროდ დაჰკარგეს ძველი სიკვლესუცე და ღირსება და ამას თავისი მიზეზები აქვს.
 2) Della Valle t. II. გვ. 145
 3) Malcolm t. II. 445-59.
 4) Della Valle t. II. გვ. 60-8

